<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---დეკემბერი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის, კომპოზიტორ ავთანდილ შარვაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ვაკის რაიონში, ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მომღერლის, კომპოზიტორ ავთანდილ შარვაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

1:3,000
X=476911 Y=4621135
ავთანდილ შარვაძის ქ.
X=477532 Y=4620821

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

მიხეილ ამაშუკელი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**03-0321040225**
თარიღი: **09/02/2021**

ბატონო მიხეილ,

მოგმართავთ თხოვნით, ქ. თბილისის რომელიმე ქუჩას მიენიჭოს ცნობილი ქართველი კომპოზიტორისა და მომღერლის, ავთანდილ შარვაძის სახელი.

წერილს თან ერთვის ავთანდილ შარვაძის მოკლე ბიოგრაფია.

დანართი: 2 ფურცელი

პატივისცემით,

ზაზა მამალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია ,,თბილისი''-ფრაქციის თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

ადრესატი:

გიორგი ტყემალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**03-032120248**
თარიღი: **21/07/2021**

ბატონო გიორგი,

მოგახსენებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში შევიტანე წერილები (# 03-0321040224 და # 03-0321040225) , რომელიც ეხება, თბილისში, ტრიო "თბილისისა" და ანსამბლ "თბილისის" სოლისიტის ნუგზარ აფხაიძისა და მომღერლისა და კომპოზიტორის ავთანდილ შარვაძის ქუჩების დაარსებას. ხსენებულ მომართვებს წინ უძღვოდა კულტურის სფეროს მოღვაწეთა შუამდგომლობა, რომელიც კომისიას მატერიალურად წარვუდგინე.

ხსნებეულ წერილებზე, დანართის (1 ფურცელი) სახით წარმოგიდგენთ 2021 წლის 09 თებერვალს მომზადებულ შუამდგომლობას.

პატივისცემით:

ზაზა მამალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია ,,თბილისი''-ფრაქციის თავმჯდომარე

შუამდგომლობა

ქ. თბილისის ქუჩებს მიენიჭოს ტრიო „თბილისის“ და ანსამბლ „თბილისის“ სოლისტის, ნუგზარ აფხაიძის და ქართველი კომპოზიტორისა და მომღერლის, ავთანდილ შარვაძის სახელები

ვაჟა აზარაშვილი _____

ანზორ ერქომაიშვილი _____

ნანი ბრეგვაძე _____

მერაბ სეფაშვილი _____

ბესიკ კალანდაძე _____

ევა მამალაძე _____

ნუკრი კაპანაძე _____

ნუგზარ კვაშალი _____

ნანა მესხი _____

ნატო გელაშვილი _____

ანსამბლი „თბილისი“
ხელმძღვანელი: რობერტ გოგოლაშვილი _____

ანსამბლი „ქართული ხმები“, თემურ ჭკუასელი _____

ანსამბლი „ფორტე“, ზურაბ მანჯავიძე _____

09.02.2021

წერილის ნომერი: **03-032122370**
თარიღი: **11/08/2021**
პინი: **8816**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "თბილისის" თავმჯდომარის ზაზა მამალაძის 2021 წლის 9 თებერვლის საქმე #03-0321040225 და #03-032120248 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის კომპოზიტორისა და მომღერლის ავთანდილ შარვაძის სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ავთანდილ შარვაძის ქუჩის სიტუაციური ნახაზი (ფერმწერთა ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01212451840**
თარიღი: **02/09/2021**
პინი: **3093**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

17-032124523-03

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 11.08.2021 წლის #03-032122370 (11.08.2021წ. #14-01212232066-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ავთანდილ შარვაძე
(1947-2005)

ქართველი კომპოზიტორი და მომღერალი

დაიბადა 1947 წლის 18 ივნისს ქ. თბილისში.

1954-1964 სწავლობდა ქ. თბილისის N1 საშუალო სკოლაში. 1964 წელს ჩაირიცხა თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტზე. წლების განმავლობაში მუშაობდა კიდეც პროფესიით. თუმცა, ხალხი მას უფრო მეტად, როგორც კომპოზიტორსა და შემსრულებელს, ისე იცნობს.

ავთანდილ შარვაძეს შექმნილი აქვს რამოდენიმე ათეული ქართული სიმღერა, მათ შორის: „გიორგობისთვე“, „შემოდგომა“, „თამუნია“, „წითელფეხება მტრედებო“, „სავარდო და სამაისო“ და მრავალი სხვა.

ავთანდილ შარვაძის სიმღერებს მღეროდნენ და დღესაც მღერიან საქართველოში ცნობილი ანსამბლები და სოლო შემსრულებლებლები, მათ შორის „ტრიო თბილისი“, ტრიო „სიმი“, ანსამბლები „ივერია“, „ფორტე“, „ცისფერი ტრიო“, რობერტ ბარძიმაშვილი, ბესიკ კალანდაძე, მერაბ სეფაშვილი, თემურ თათარაშვილი და სხვები.

ავთანდილ შარვაძე გარდაიცვალა 2005 წლის 15 მაისს.